დადგენილება:**დ-37. 3722329001**
თარიღი:**25/11/2022**

დადგენილება N32

2022 წლის 25 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 და მე-11 მუხლების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესი, დანარათი N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს უპირობო აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პირობებიანი აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის და მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვისას, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყენება თანდართული ფორმები. თანდართული ფორმების ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და განსაკარგი ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ -,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის N42 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 16/12/2010, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.113.016018);

ბ) ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N48 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250010.35.171.016048).

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი